

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი დაცულ ტერიტორიებში



გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

ავტორი: ი. მაჭარაშვილი, თ. არველაძე, ი.
სვანიძე, მ. არჩუაძე, დ. კობახიძე, ი.
ქუთათელაძე



ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი არის ბიომრავალფეროვნების კომპონენტების განმეორებადი, სისტემატიზებული კვლევა, რომლის მიზანია მათი სტატუსის, საფრთხეებისა და ტენდენციების დადგენა. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი სახეობებისა და ჰაბიტატების მენეჯმენტის საკვანძო კომპონენტია, რომლის საშუალებითაც ხდება: ბიომრავალფეროვნების მართვის ეფექტურობის შეფასება; ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და ტენდენციების განსაზღვრა; სახეობების ხელსაყრელი საკონსერვაციო სტატუსის დადგენა; ქვეყანაში არსებული ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გამოყენების პოლიტიკის საერთაშორისო მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან (კონვენციებთან და შეთანხმებებთან) შესაბამისობის შეფასება.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ბევრი საერთაშორისო შეთანხმების სავალდებულო კომპონენტია. ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მე-7 მუხლი ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, განსაზღვრონ ბიომრავალფეროვნების ის კომპონენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების თვალსაზრისით და აწარმოონ მათზე მონიტორინგი; ასევე მონიტორინგი აწარმოონ იმ პროცესებზე, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებაზე. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი შეტანილია ევროკავშირის არაერთ პოლიტიკურ დოკუმენტში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჰაბიტატებისა (1992 წლის 21 მაისის საბჭოს 92/43/EC დირექტივა „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“, 97/62/EC, 2006/105/EC დირექტივების და (EC)N1882/2003 რეგულაციის მიერ შეტანილი შესწორებების

ნაშრომი მომზადდა მწვანე ალტერნატივას პროექტის „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის განვითარება ტყით დაფარული დაცული ტერიტორიების შესაფასებლად“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ და ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის მიერ (WRI).

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს პროექტის დამფინანსებლის შეხედულებათა ამსახველად.



შესაბამისად) და ფრინველების (2009 წლის 30 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EC დირექტივა „გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“).

დირექტივები სამართლებრივად ავალდებულებენ წევრ ქვეყნებს, აწარმოონ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი. საქართველოს გაცხადებული პოლიტიკური კურსი უკავშირდება ევროკავშირთან ინტეგრაციას; ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების („ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“, ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს) ერთ-ერთ ვალდებულებას ქვეყნის კანონმდებლობის ზემოხსენებულ დირექტივებთან ჰარმონიზება წარმოადგენს. დაცული ტერიტორიები ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ქვაკუთხედაა, შესაბამისად მათ ფარგლებში მონიტორინგის წარმოებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისათვის.

2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილებით საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა პირველი გეგმა, რომლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად განისაზღვრა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის შექმნა. ამ დადგენილების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 18 დეკემბრის №262 ბრძანებით დამტკიცდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემა. აღნიშნული სისტემა ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მოდელს - ზეწოლა/მდგომარეობა/რეაგირება (Pressure / State / Response). მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია 25 ინდიკატორი, რომელთაგან ოთხი შეეხება დაცულ ტერიტორიებს:

- R1. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობის ცვლილება;
- R2. დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმართება მენეჯმენტის გეგმების საფუძველზე, კვალიფიცირებული პერსონალის მიერ;
- R3. ბუნების დაცვის ზონები (დაცული ტერიტორიების ქსელის საერთო ფართობში უპირატესად ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის გამოყოფილი ადგილების ფართობის ცვლილება);
- P8. დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმყოფება ინფრასტრუქტურის განვითარების ზეგავლენის ქვეშ.

გარდა ამ ოთხი ინდიკატორისა, დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში საინტერესო იქნებოდა ჰაბიტატის ფრაგმენტაციის საკითხის შესწავლა. აღნიშნული 25 ინდიკატორიდან ერთ-ერთი არის ზეწოლის ინდიკატორი „ლანდშაფტის ფრაგმენტაცია“. მისი განმარტება, დაანგარიშების პერიოდულობა, ინდიკატორის აღწერა, ინდიკატორის დაანგარიშების მეთოდები ნორმატიულ აქტში არ არის მოცემული, განსხვავებით მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული უმეტესი ინდიკატორებისგან. GIZ-ის პროექტის ფარგლებში¹, ამ ინდიკატორის მიხედვით შეფასებულია საქართველოს მასშტაბით საავტომობილო ასფალტირებული და ბეტონის გზების შედეგად ლანდშაფტის ფრაგმენტაცია. უფრო ზუსტად, შეფასებულია გზების სიმჭიდროვის ცვლილება მთელი ქვეყნის, ასევე ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიხედვით 2008-2011 წლებში. არსებული მონაცემების სიმცირის გამო, ვერ მოხერხდა ლანდშაფტის ფრაგმენტაციის შეფასება ზადის თვლის ზომის (საზომი ერთეული, რომელიც გულისხმობს ლანდშაფტის დაუნაწევრებელი ნაკვეთების საშუალო სიდიდეს). ასევე არ არის შეფასებული სხვა ინფრასტრუქტურის (რკინიგზა, არხები, ინდუსტრიული ზონები, დასახლებები, მილსადენები და სხვა ხაზოვანი ინფრასტრუქტურა) ზეგავლენა.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა: ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის არსებული ინდიკატორების მიხედვით (დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ინდიკატორები) შეფასების ჩატარება და დაცულ ტერიტორიებზე მოქმედი ზოგიერთი საფრთხის შეფასება; მიღებული შედეგების გათვალისწინებით წინადადებების (რეკომენდაციების) მომზადება ორი მიმართულებით:

¹ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის შედეგები, 2013 მარტი, პროექტის „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (GIZ)

1. ბიომრავალფეროვნების ინდიკატორების გაუმჯობესება;
2. დაცული ტერიტორიების დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესება.

კვლევის მეთოდები

დაცული ტერიტორიების რაოდენობის, ფართობის, ზონირებისა და მენეჯმენტის გეგმების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად დავამუშავეთ და გავაანალიზეთ თითოეული დაცული ტერიტორიის შექმნასა და მართვასთან დაკავშირებული კანონები და მენეჯმენტის გეგმები (წყარო: იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე - matsne.gov.ge). კვლევის შედეგები მოცემულია საქართველოს კანონმდებლობის 2018 წლის 23 მარტის მდგომარეობით.

დაცული ტერიტორიების მდებარეობისა და ზონირების, ასევე იქ განლაგებული ტურისტული თუ სხვა ინფრასტრუქტურის ანალიზისათვის გამოყენებული იქნა „ტყისა და მიწათსარგებლობის საინფორმაციო სისტემის პორტალის“ - FLUIDS (atlas.mepa.gov.ge) მონაცემები. ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის წყაროდ გამოყენებული იქნა დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები (როგორც მოქმედი, ასევე ვადაგასული). ინფორმაციის დასაზუსტებლად ასევე გამოყენებული იქნა საჯარო რეესტრის მონაცემები, ინტერვიუები სფეროს ექსპერტებთან და სხვადასხვა სახის მონაცემები. მონაცემების ანალიზისათვის გამოყენებული იქნა გეოინფორმაციულ სისტემები (ArcMap 10.2.2).

კვლევითი პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი იყო სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართვა და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების მიერ მომზადებული სამაგისტრო ნაშრომები: მარიამ არჩუაძის სამაგისტრო ნაშრომი „დაცული ტერიტორიების დიზაინის გავლენა საკვანძო სახეობების მდგომარეობაზე“, ირინე ქუთათელაძის სამაგისტრო ნაშრომი „ინფრასტრუქტურული ობიექტების ზეგავლენა დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე“, დავით კობახიძის სამაგისტრო ნაშრომი „ტურიზმის ზეგავლენა საკვანძო სახეობების პოპულაციებზე ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებში“. სტუდენტებმა ერთმანეთისგან განსხვავებული სამეცნიერო კუთხით დაამუშავეს გამოიყენეს მწვანე ალტერნატივას პროექტის დახმარებით მოპოვებული და „ტყისა და მიწათსარგებლობის საინფორმაციო სისტემის პორტალის“ - FLUIDS (atlas.mepa.gov.ge) მასალები. სტუდენტების კვლევები, ემსახურებოდა ბიომრავალფეროვნების ინდიკატორების სხვადასხვა პირობებში გამოცდასა და დაზუსტებას².

მიღებული შედეგები

საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით (2012 წლის 18 დეკემბრის №262 ბრძანება) დამტკიცებული, ოთხი ინდიკატორის მიხედვით ჩატარდა დაცულ ტერიტორიების შეფასება.

ინდიკატორი R1. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობის ცვლილება

დღეისათვის იურიდიულად საქართველოში არსებობს 88 დაცული ტერიტორია (14 სახელმწიფო ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 40 ბუნების ძეგლი, 2 დაცული ლანდშაფტი და 2 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია), რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 627104.7255 ჰა-ს. თუმცა, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით³ ქვეყანაში 86 დაცული ტერიტორია არსებობს: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 40 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტი (<http://apa.gov.ge/ge/protected-areas>), რომელთა საერთო ფართობის შესახებაც ასევე განსხვავებულ მონაცემებს


² სამივე სტუდენტმა წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი და დაიმსახურა მაგისტრის ხარისხი.

³ 2018 წლის 5 მაისის მონაცემებით

აფიქსირებენ. ფაქტობრივად საქართველოში არის 92 დაცული ტერიტორია, მათგან 8 მდებარეობს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა (ბიჭვინთის, ლიმავას, მიუსერის, რიწის, ფსხუს, გუმისთის, სკურჩას სახელმწიფო ნაკრძალები) და ცხინვალის რეგიონში (ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი) (დაწვრილებითი განმარტება იხილეთ შედეგების დისკუსიაში).


საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე დაცული ტერიტორიებიდან, 81 იმართება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, 20 ტერიტორიული ადმინისტრაციის მეშვეობით. ერთი დაცული ტერიტორია - თუშეთის დაცული ლანდშაფტი - იმართება ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ; ორი დაცული ტერიტორია - ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (შექმნილია საქართველოს კანონით „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 3 „დ“) და ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (შექმნილია საქართველოს კანონით „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 3 „ზ“) არ იმართება არც ერთი ინსტიტუციის მიერ, თუმცა შესაბამის კანონებში იდენტიფიცირებულია ის დასახლებული პუნქტები, რომლებიც შედიან ამ მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებში. ამავე კანონმდებლობის თანახმად, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვას უნდა ახორციელებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისი №12 ბრძანების „დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ (მუხლი 2) თანახმად, საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე არსებული დაცული ტერიტორიების სამართავად შექმნილია ფსხუ-გუმისთის, ბიჭვინთა-მიუსერის, რიწის და ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალების ადმინისტრაციები.

ყველა დაცული ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 627104.7255 ჰა-ს, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 9%-ია. სახელმწიფო ნაკრძალებს უკავია 139048.76 ჰა, ეროვნული პარკებს - 347921.1075 ჰა, ბუნების ძეგლი - 2755.298 ჰა, აღკვეთილებს - 71530.47 ჰა, დაცული ლანდშაფტებს - 34708 ჰა, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებს - 31141.09 ჰა (სურ. 1.). დაცული ტერიტორიების 67141 ჰა მდებარეობს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.



აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ბუნების ძეგლის ფართობი არ არის კანონმდებლობით იდენტიფიცირებული, რაც ნიშნავს, რომ ეს მონაცემი მომავალში შესაძლოა შეიცვალოს. რაც შეეხება მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებს, კანონით განსაზღვრულია ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ფართობი და ის მოიცავს პარკის პერიმეტრის შიგნით (251 ჰა) და პარკის პერიმეტრის გარეთ (30050 ჰა) არსებულ


დასახლებულ პუნქტებს. ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ფართობი არ არის განსაზღვრული კანონით, თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებული GIS ანალიზის მიხედვით, კანონში ჩამოთვლილი დასახლებული პუნქტების საერთო ფართობი შეადგენს 840.09 ჰა-ს. სურ. 2-ზე მოცემულია - დაცული ტერიტორიების საერთო ფართობის ცვლილება.



სურ. 2. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობის ცვლილება

დაცული ტერიტორიების ფართობების ცვლილება კატეგორიების მიხედვით მოცემულია სურ. 3-ზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტად გაიზარდა ეროვნული პარკების საერთო ფართობი.

დაცული ტერიტორიების ფართობების ცვლილება დავიანგარიშეთ თითოეული დაცული ტერიტორიისთვის. გარდა ამისა, შევაჯამეთ თითოეული დაცული ტერიტორიის შიდა ზონების ფართობების ცვლილებაც. დიდი მოცულობის გამო ეს ინფორმაცია მოცემულია დანართებში.



სურ. 3. დაცული ტერიტორიების ფართობის ცვლილება კატეგორიების მიხედვით


ინდინატორი R2. დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმართება დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმით, კვალიფიცირებული პერსონალის მიერ.

დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმების არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაცული ტერიტორიების სწორად და ეფექტურად მართვისათვის⁴, მათ შორის მისი ძირითადი ფუნქციის – კონსერვაციისა და დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების ხელშეწყობი სხვა მიზნების

(როგორცაა მაგალითად: ტურიზმი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა) განსახორციელებლად. 84 დაცული ტერიტორიიდან, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მენეჯმენტის გეგმა გააჩნია 42-ს (50%). დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმის მიხედვით იმართება დაცული ტერიტორიების ფართობის 56% (314606.348 ჰა), ხოლო მენეჯმენტის გეგმის გარეშე დაცული ტერიტორიების ფართობის 44% - 244517.2875 ჰა. ის დაცული ტერიტორიები, რომელთაც ამ ეტაპზე არ აქვთ დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმა, იმართებიან დროებითი დებულების საფუძველზე (გარდა მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებისა). თუ მხედველობაში მივიღებთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ ნაკრძალებს, მაშინ თანაფარდობა გარკვეულწილად უარესობისკენ შეიცვლება (იხ. სურ. 4).

⁴ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 18 დეკემბრის №262 ბრძანება „ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორების, მათი აღწერის მეთოდოლოგიებისა და წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“

R2. დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმართება დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმით




შენიშვნა: მონაცემებში გათვალისწინებულია აფხაზეთის და ლიახვის ნაკრძალები; არ არის გათვალისწინებული მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები.

სურ. 4. დაცული ტერიტორიების მართვა მენეჯმენტის გეგმების საფუძველზე

ინდიკატორი R3. ბუნების დაცვის ზონები (დაცული ტერიტორიების ქსელის საერთო ფართობში უპირატესად ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის გამოყოფილი ადგილების ფართობის ცვლილება)

R3. ბუნების კონსერვაციის ზონები




სურ. 5. ბუნების დაცვის ზონების წილი დაცული ტერიტორიების ფართობთან შეფარდებით

ნორმატიულ აქტში მოცემული ინდიკატორის განმარტების მიხედვით, „ბუნების დაცვის ზონებად“ ითვლება I, II და III კატეგორიის დაცული ტერიტორიების ფართობები ვიზიტორთა, ადმინისტრაციული და ტრადიციული გამოყენების ზონების ფართობების გამოკლებით. ბრძანების თანახმად, ეს ზონები უშუალოდ გარემოს დაცვას ემსახურება და ამ ფართობზე არ არის დაშვებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა. რაც მეტია დაცულ ტერიტორიების

საერთო ფართობში ასეთი წილი, უკეთესი წინაპირობები არსებობს საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების და მათი ჰაბიტატების, მოწყვლადი ეკოსისტემების და ზოგადად ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის. ჩვენ გარკვეულწილად შეეცვალეთ ბრძანებით განსაზღვრული ინდიკატორის შინაარსი (იხ. შედეგების განხილვაში) და ბუნების დაცვის ზონებს დავამატეთ ალკვეთილებიც - ტრადიციული გამოყენების ზონებისა და ვიზიტორთა ზონების გამოკლებით⁵. აფხაზეთისა და ლიახვის ნაკრძალების ფართობების გათვალისწინებით, ბუნების დაცვის ზონები შეადგენენ მთელი დაცული ტერიტორიების 39%-ს (244317.378 ჰა).

⁵ შესაძლებელია მინისტრის ბრძანებაში საქმე გვექონდეს მექანიკურ შეცდომასთან, ვინაიდან იმავე ბრძანებაში, P8 ინდიკატორის განმარტებაში აღნიშნულია, რომ „ბუნების დაცვას“ ემსახურება IUCN I-IV კატეგორიის დაცული ტერიტორიები - სახელმწიფო ნაკრძალები, უროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, ალკვეთილები



იქიდან გამომდინარე, რომ დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმების არსებობას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაცული ტერიტორიების სწორად და ეფექტურად მართვისათვის, განვსაზღვრეთ, ბუნების დაცვის ზონების რა ნაწილი იმართება დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმის საფუძველზე. როგორც აღმოჩნდა, მენეჯმენტის გეგმის საფუძველზე იმართება ბუნების დაცვის ზონების მხოლოდ 15 % (94172.278 ჰა) - სურ. 6.

ინდიკატორი P8. დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმყოფება ინფრასტრუქტურის განვითარების ზეგავლენის ქვეშ.


თეორიულად, ტურისტების/ვიზიტორების ჭარბმა რაოდენობამ და მათთან დაკავშირებულმა ინფრასტრუქტურამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე. აღნიშნული ინდიკატორი სწორედ ამ საფრთხის ასარიდებლად არის შექმნილი. ნორმატიული აქტის შესაბამისად, ის განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების იმ ფართობს, რომელზეც მდებარეობს მათი კუთვნილი ინფრასტრუქტურა: ბილიკები, ვიზიტორთა ზონები, სასტუმროები, საბანაკე ადგილები, ადმინისტრაციული შენობები და ა.შ. „ინდიკატორის დაანგარიშება გათვალისწინებულია მხოლოდ I-IV კატეგორიის დაცული ტერიტორიებისთვის, რომლებიც ემსახურება „ბუნების დაცვას“ (სახელმწიფო ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, ადკვეთილები).“ ინდიკატორის მიხედვით, იზომება ასეთი ინფრასტრუქტურული ობიექტების მიერ დაკავებული საერთო ფართობის შეფარდება დაცული ტერიტორიის მთლიან ფართობთან. ინფრასტრუქტურის ფართობის წილის მიხედვით განსაზღვრულია დაცულ ტერიტორიაზე ზეგავლენის ოთხი დონე: I დონე (0-5%), II დონე (5-10%), III დონე (10-25%), IV დონე (>25%). იმ შემთხვევაში, როცა ინფრასტრუქტურის წილი არ აღემატება 10%-ს დაცული ტერიტორია ფასდება დადებითად და მიიჩნევა, რომ ის კარგად ემსახურება კონსერვაციის მიზნების შესრულებას. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პრაქტიკულად არც ერთი დაცული ტერიტორიის შემთხვევაში ტურიზმთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას არ უკავია იმდენად მნიშვნელოვანი ფართობი, რომ აჭარბებდეს ზეწოლის I დონეს. მაგალითად, თბილისის, ბორჯომ-ხარაგაულის და ალგეთის დაცული ტერიტორიების შემთხვევაში ტურისტული ინფრასტრუქტურის წილი მთლიანი ფართობის 1%-ს არ აღემატება. როგორც წესი, ამ ინფრასტრუქტურის დიზაინი მინიმალისტურია და შეესაბამება გარემო პირობებს⁶.

გარდა ნორმატიული აქტით დამტკიცებული ინდიკატორებისა, დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ტენდენციები შევისწავლეთ სხვა მეთოდებითაც, რომლებიც მომავალში შეიძლება გამოყენებული იქნას, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საწარმოებლად.

⁶ ირინე ქუთათელაძის სამაგისტრო ნაშრომი „ინფრასტრუქტურული ობიექტების ზეგავლენა დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, 2018 წ.

ტურიზმის ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე

ბიომრავალფეროვნებაზე ტურიზმის ზეგავლენა შევისწავლეთ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მაგალითზე⁷. საკვანძო სახეობებად შეირჩა კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*) და მურა დათვი (*Ursus arctos*). გაანალიზდა ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებში 2012-2017 წლების ფოტო-მახეების მონაცემები და ვიზიტორთა სტატისტიკა, რომლებიც დამუშავდა სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდებით. ვიზიტორების მაღალი რაოდენობის დროს, დღის საათებში ირმისა და დათვის აქტიურობა ფოტო-მახეებით იშვიათად აღირიცხებოდა, ისინი ძირითადად ღამის საათებში ფიქსირდებოდნენ. განსხვავებული ვითარება იყო ტურისტულად არააქტიურ პერიოდში: ირმები და დათვები დაახლოებით თანაბარი სიხშირით ფიქსირდებოდნენ ფოტო-მახეებში დღისა და ღამის განმავლობაში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვიზიტორების დიდი რაოდენობა აფრთხობს და/ან აწუხებს ირმის და დათვის პოპულაციებს, რის გამოც შესაძლოა პოპულაციების გარკვეულმა ნაწილმა თავი არაკომფორტულ, მაგრამ უსაფრთხო ჰაბიტატს შეაფაროს (იხ. სურ. 7, 8) .



ინფრასტრუქტურული ობიექტების ზეგავლენა დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე⁸

ინდიკატორი P8 – „დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმყოფება ინფრასტრუქტურის განვითარების ზეგავლენის ქვეშ“, არ ავასებს ისეთი ინფრასტრუქტურის გავლენას, რომელიც არ ეკუთვნის დაცულ ტერიტორიებს, არ არის დაკავშირებული მის ფუნქციონირებასთან, თუმცა მდებარეობს დაცული ტერიტორიების ფართობებში, მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურა, ელექტროგადამცემი ხაზები, მილსადენები და სხვ. აღნიშნული ტიპის ინფრასტრუქტურა სხვადასხვა უცხოურ კვლევაში განხილულია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი ბუნებაში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების და კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, დასაბუთებულია მათი ნეგატიური ზეგავლენა.

ცხოველთა კონკრეტული საკვანძო/ქვაკუთხედი სახეობების პოპულაციებზე (ჰაბიტატის ფრაგმენტაციის) ასეთი ინფრასტრუქტურის ზეგავლენის შეფასება ვერ მოხერხდა საკმარისი ინფორმაციის არარსებობის გამო (სახეობების გავრცელების რუკები დაცულ ტერიტორიებში, ფოტო-მახეების მონაცემები და სხვ.). ამის

⁷ დავით კობახიძის სამაგისტრო ნაშრომი „ტურიზმის ზეგავლენა საკვანძო სახეობების პოპულაციებზე ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებში“, 2018 წ.
⁸ ირინე ქუთათელაძის სამაგისტრო ნაშრომის „ინფრასტრუქტურული ობიექტების ზეგავლენა დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, 2018 წ. მიხედვით

გათვალისწინებით, გამოკვლეული იქნა საქართველოს დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ინფრასტრუქტურის, მათ შორის ისეთი ინფრასტრუქტურის, რომელიც არ ეკუთვნის დაცულ ტერიტორიებს, გავლენა ბერნის კონვენციით დაცულ ჰაბიტატებზე (ჰაბიტატები, რომლებიც წარმოადგენენ ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მე-4 რეზოლუციაში მითითებულ მკაცრად დასაცავ ჰაბიტატებს) და დანართში შეტანილ სახეობებზე. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია „ტყისა და მიწათსარგებლობის საინფორმაციო სისტემის პორტალზე“ - FLUIDS (atlas.mepa.gov.ge) და მომზადებულია სახეობათა კონსერვაციის ცენტრის - „ნაკრესის“ მიერ.

კვლევამ აჩვენა, რომ ეს ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით საქალაქთაშორისო და სოფლის გზები, იწვევენ ბერნის მე-4 რეზოლუციის მკაცრად დასაცავი ზოგიერთი ჰაბიტატის ფრაგმენტაციას, ხელს უწყობენ ბიომრავალფეროვნებაზე სხვადასხვა ტიპის ზეწოლის ზრდას, მათ შორის: უკანონო ხე-ტყის ჭრას, ბრაკონიერობას, იარაღით უკანონო გადაადგილებას, ტერიტორიის დაბინძურებას. ამასთან დაცულ ტერიტორიების მიმდებარე სოფლებთან დამაკავშირებელი გზები ქმნიან ხანძრების გაჩენის საშიშროებას. დაცულ ტერიტორიებზე გამავალი გზები ჰაბიტატების ფრაგმენტაციასთან ერთად ქმნიან კიდევების ეფექტს. სოფლებთან და მიმდებარე გზებთან მოსახლეობის აქტიური საქმიანობის შედეგად, გზებთან სიახლოვეს არ გვხვდებიან დაცული ტერიტორიაზე გავრცელებული მსხვილი მუძუმწოვრები.

დაცული ტერიტორიების რეპრეზენტატიულობა⁹

კვლევის ერთ-ერთ კომპონენტს დაცული ტერიტორიების საზღვრებში ბერნის კონვენციით მკაცრად დაცული ჰაბიტატების რეპრეზენტატიულობა შეადგენდა¹⁰. გამოკვლეული იქნა, თუ რომელი ჰაბიტატები და რა ხარისხით (დაცვის რეჟიმით) არის დაცული დაცულ ტერიტორიებში. კვლევამ ასევე აჩვენა გარკვეული ხარვეზები, რომელიც დაცვითი კატეგორიის შეუსაბამობას, ფორმას, დაცულ ტერიტორიებს შორის კავშირების არარსებობას და დაცული ტერიტორიების ფრაგმენტაციას ეხებოდა.

მაგალითად, აღმოჩნდა, რომ მაჭახელას ეროვნულ პარკში გვხვდება ბერნის კონვენციის მეოთხე რეზოლუციის ხუთი ჰაბიტატი:


1. „G1.6 წიფლნარი ტყე“;
2. „E 3.5 ოლიგოტროფული ჰუმიდური ბალახოვნები“;
3. „G1.A7 შერეული ფოთოლმცვივანი ტყეები“;
4. „E 3.4. ტენიანი ან სველი ეუტროფული და მეზოტროფული ბალახოვნები“;
5. „F 7.3. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვური ფრიგანა“.

ამათგან მხოლოდ ჰაბიტატი „G1.6 წიფლნარი ტყე“ არის მოქცეული მკაცრი დაცვის ზონაში, დანარჩენი ოთხი ჰაბიტატი კი მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახით ტრადიციული გამოყენების ზონაში გვხვდება, იმ დასახლებების სიახლოვეს, რომლებიც ამ ჰაბიტატებში მერქნული და არამერქნული რესურსებით სარგებლობენ. ადგილი აქვს აღნიშნული ჰაბიტატების ფრაგმენტაციას სხვადასხვა ინფრასტრუქტურით (გზებით, ელექტროგადამცემი ხაზები, დასახლებები). იმის გამო, რომ ეროვნული პარკის შემადგენლობაში არ შედიან მდინარეები მაჭახელა და სქურდიდი, დაცული ტერიტორიის გარეთ აღმოჩნდა ბერნის მეოთხე რეზოლუციის ჰაბიტატები. ეს ადგილები მნიშვნელოვანია კავკასიური სალამანდრასთვის (*Mertensiola caucasica*). მისი ხელსაყრელი ჰაბიტატების დიდი წილი სწორედ დაცული ტერიტორიების საზღვრებს მიღმა დარჩენილი.

⁹ მარიამ არჩუაძის სამაგისტრო ნაშრომის „დაცული ტერიტორიების დიზაინის გავლენა საკვანძო სახეობების მდგომარეობაზე“, 2018, მიხედვით

¹⁰ მარიამ არჩუაძის სამაგისტრო ნაშრომი, „დაცული ტერიტორიების დიზაინის გავლენა საკვანძო სახეობების მდგომარეობაზე“, 2018

მტირალას ეროვნული პარკის შემადგენლობაში წარმოდგენილია ჰაბიტატები „G1.6 წიფლნარი“ და „G1.A7 შავი და კასპიის ზღვების შერეული ფოთლომცვენი ტყე“. აქედან დომინანტური მდგომარეობა პირველს უკავია, ხოლო მეორე ჰაბიტატი მხოლოდ ორი ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი. აქედან ერთი ერთი ფრაგმენტი ვიზიტორთა, ხოლო მეორე ტრადიციული გამოყენების ზონაშია მოხვედრილი (იხ. სურ. 9).



ჰაბიტატის ფრაგმენტაციის გამოწვევი ინფრასტრუქტურა მტირალას ეროვნულ პარკში, მაჭახელათან შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი. ფრაგმენტაციის გამოწვევი ძირითადი მიზეზი პარკის ტერიტორიაზე არსებული ელექტროგადამცემი ხაზი, გზები და ტურისტული ბილიკებია, თუმცა ამ უკანასკნელის ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე სხვა ფაქტორებთან შედარებით ნაკლებია.

შედეგების განხილვა

როგორც აღვნიშნეთ, იურიდიულად საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიების რაოდენობა და ფართობი განსხვავდება იმ მონაცემებისგან, რომელსაც წარმოადგენენ დაცული ტერიტორიების სააგენტო და სხვა ოფიციალური წყაროები. ეს სხვაობა გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: დაცული ტერიტორიების სააგენტო არ იღებს მხედველობაში, რომ შესაბამისი კანონებით შექმნილია ორი მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორია - ჯავახეთისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები და არც მათ ფართობს - 31141.09 ჰექტარს ითვალისწინებს. დაცული ტერიტორიების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენ დაცულ ტერიტორიად ჩავთვლით აფხაზეთში არსებულ ნაკრძალებს. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.apa.gov.ge) და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ საქართველოში არის 14 სახელმწიფო ნაკრძალი, მათ შორის 3 აფხაზეთში: ბიჭვინთა-მიუსერის, რიწისა და ფსხუ-გუმისთის. მაგრამ იგივე ვებ-ბმულზე, ქვესათაურის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (ან აფხაზეთის) დაცული ტერიტორიები“ ქვეშ მოცემულ ტექსტში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილია 5 სახელმწიფო ნაკრძალი, რომელთა საერთო ფართობია 60753 ჰა: გუმისთის ნაკრძალი (13,400 ჰა), ფსხუს ნაკრძალი (27,334 ჰა), სურჩის ნაკრძალი (85 ჰა), რიწის ნაკრძალი (13,893 ჰა), ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი, რომელიც თავის მხრივ სამი - ბიჭვინთის (165 ჰა), მიუსერისა (218 ჰა და ლიძავის (1296 ჰა) მონაკვეთისგან შედგება. „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, შექმნილია ფსხუ-გუმისთის (40819 ჰა), ბიჭვინთა-მიუსერისა (3645 ჰა) და რიწის (16289 ჰა) სახელმწიფო ნაკრძალები. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ, იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ფსხუ-გუმისთის ნაკრძალი სინამდვილეში არა ერთი, არამედ სამი ნაკრძალია, მაშინ საქართველოში გვაქვს 90 დაცული ტერიტორია, მათ შორის 16 ნაკრძალი. თუ ჩავთვლით, რომ ბიჭვინთა-მიუსერის სამი მონაკვეთი დამოუკიდებელი ნაკრძალებია, მაშინ საქართველოში გვაქვს 92 დაცული ტერიტორია, მათ შორის 18 ნაკრძალი.

„დაცული ტერიტორიების სტატუსის“ შესახებ საქართველოს კანონსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია აფხაზეთში არსებული დაცული ტერიტორიებისა და მათი ფართობის შესახებ განსხვავებულია და დაზუსტებას მოითხოვს (როგორც რაოდენობის, ისე ფართობის მხრივ). რაც შეეხება მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებს, ცალსახად არასწორია, როდესაც დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციით, ასევე სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებსა და საჯარო მოხელეთა და ექსპერტების კვლევებში აღინიშნება ხოლმე, რომ დღეისათვის საქართველოში ასეთი კატეგორიის დაცული ტერიტორია არ არსებობს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ არის იოლად აღსაქმელი და ინფორმატიული დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ვებ-გვერდზე არ არის ერთიანად თავმოყრილი მონაცემები დაცული ტერიტორიების ფართობის, რაოდენობის და მათი მმართველი ადმინისტრაციების შესახებ. რიგ შემთხვევებში, კანონმდებლობის დაწვრილებითი განხილვის გარეშე, არ არის გასაგები, რომელი დაცული ტერიტორია იმართება კონკრეტული ადმინისტრაციის მიერ. მაგალითად, ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი და ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი საქართველოს კანონის „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ თანახმად, შედის იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიის ფარგლებში, თუმცა მას მართავს მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია. მუხურას ჩანჩქერს მართავს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, თუმცა ის შექმნილია არა საქართველოს კანონის „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ თანახმად, არამედ საქართველოს კანონის „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი ფაქტობრივი შეცდომა და შეუსაბამობაა დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებში (დაცული ტერიტორიების დაარსებასთან დაკავშირებული კანონები და ამავე დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები), რაც ძალიან ართულებს როგორც დაცული ტერიტორიების მმართველობის კვლევას, ისე მათი მართვის პროცესს.

წარმოდგენილი ინფორმაცია (დანართებითურთ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეუძლია გამოიყენოს არა მხოლოდ მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ინფიკატორისთვის, არამედ ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციისა და ბერნის კონვენციის (indicator on protected areas-D1) ანგარიშგებისათვის; შესაძლებელია გაანალიზდეს დაცული ტერიტორიების ფართობების ცვლის ტენდენციები: თითოეული დაცული ტერიტორიის ფართობის, ასევე თითოეული დაცული ტერიტორიის შიდა ზონების ფართობების ცვლილების მიხედვით (იხ. რეკომენდაციები).

მიღებული შედეგების თანახმად, არასახარბიელო ვითარებაა იმ დაცული ტერიტორიების თვალსაზრისით, რომლებიც იმართება დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმით. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ეს ინფორმაცია გამოყენებული უნდა იქნას მენეჯმენტის გეგმების შესამუშავებლად საბიუჯეტო დაფინანსებისა და დონორთა დახმარების მოპოვების ადვოკატირებისათვის. გამოვიყოფთ IUCN-ის VI კატეგორიის დაცული ტერიტორიების საკითხს, რომელთა მდგრადი მართვისათვის არანაირი სამართლებრივი საფუძველი და ინსტიტუცია არ არსებობს. ძალზე მნიშვნელოვანია მათი გამართული ფუნქციონირება ჯავახეთსა და ფშავ-ხევსურეთში - როგორც იქ არსებული სხვა დაცული ტერიტორიებისთვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიხედვით¹¹, ამ კატეგორიას ეწოდება „დაცული ტერიტორია ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებით“ (Protected area with sustainable use of natural resources). ასეთი ტიპის დაცული ტერიტორია იცავს ეკოსისტემებს და სახეობების საბინადრო გარემოს და მასთან დაკავშირებულ კულტურულ ღირებულებებსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების (მართვის) ტრადიციულ სისტემებს; ბუნების დიდი

¹¹ www.iucn.org

ნაწილი ბუნებრივ მდგომარეობაშია, გარკვეულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ბუნებრივი რესურსების გამოყენება იმ მეთოდებითა და მასშტაბით, რომ თავსებადი იყოს ბუნების დაცვასთან.

ინდიკატორ „R3. ბუნების დაცვის ზონები“ მოცემული განმარტების მიხედვით, ასეთ ზონებად ითვლება IUCN-ის I, II და III კატეგორიის დაცული ტერიტორიების ფართობები - ვიზიტორთა, ადმინისტრაციული და ტრადიციული გამოყენების ზონების ფართობების გამოკლებით. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონის თანახმად, ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონა არის იგივეა, რაც დაცული ტერიტორიის კატეგორია „ბუნების ძეგლი“ (IUCN III კატეგორია). ეროვნული პარკის მართვადი დაცვისა და აღდგენის ზონების (რომლებიც ამ ინდიკატორის თანახმად ბუნების დაცვის ზონებს მიეკუთვნებიან) მიზანსა და დაშვებულ საქმიანობებს შეესაბამება „აღკვეთილის“ (IUCN-ის IV კატეგორია) მიზნები და დაშვებული საქმიანობები, თუმცა ამ ინდიკატორის მიხედვით, ეს უკანასკნელი არ განეკუთვნება „ბუნების დაცვის ზონებს“. ამავდროულად, როგორც ზემოთაც აღვიშინეთ, სხვა ინდიკატორის - P8-ის მიხედვით, „ბუნების დაცვას“ ემსახურება IUCN I-IV კატეგორიის დაცული ტერიტორიები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩია, რომ R3 ინდიკატორისათვისაც „ბუნების დაცვის ზონებად“ უნდა ჩაითვალოს: ნაკრძალი, ეროვნული პარკი (ადმინისტრაციული და ტრადიციული გამოყენების ზონების გამოკლებით), ბუნების ძეგლი და აღკვეთილი (ადმინისტრაციული და ტრადიციული გამოყენების ზონების გამოკლებით).

ყურადსაღებია, რომ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა, ისევე როგორც დაცული ტერიტორიები „დაცული ლანდშაფტი“ და „მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია“ ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კონსერვაციაში: თუ სწორად არის შერჩეული კატეგორია და მართვის ფორმა, ამ კატეგორიის დაცულ ტერიტორიას შეუფასებელი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. თუმცა ამ ეფექტის მისაღებად აუცილებელია, რომ ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ აღიარებული, დაცული ტერიტორიების მმართველობის ოთხი ძირითადი მოდელიდან (1. მმართველობა მთავრობის მიერ; 2. თანამმართველობა; 3. კერძო მმართველობა; 4. მმართველობა მკვიდრი მოსახლეობისა და ადგილობრივი თემების მიერ) საქართველოში გამოყენებული იქნას არა მხოლოდ ის მოდელი, რომელიც გულისხმობს მთავრობის მიერ ერთპიროვნულ მმართველობას.


როგორც აღვნიშნეთ, ინდიკატორი „P8. დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმყოფება ინფრასტრუქტურის განვითარების ზეგავლენის ქვეშ“ აფასებს მხოლოდ დაცული ტერიტორიის კუთვნილი ინფრასტრუქტურის ზეგავლენას ბიომრავალფეროვნებაზე. არსებითად, ეს არის ტურიზმთან დაკავშირებული ზეგავლენის რაოდენობრივი და არა თვისობრივი შეფასება. მხოლოდ ამ მეთოდით საქართველოს დაცული ტერიტორიების შეფასება აჩვენებს, რომ ტურიზმს არანაირი ზეგავლენა არ აქვს ბიომრავალფეროვნებაზე. თუმცა, იმისათვის, რომ დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე ტურიზმის რეალური ზეგავლენა შევამოწმოთ და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ქმედებები დავსახოთ, საჭიროა თვისობრივი კვლევების და სხვა ტიპის მონიტორინგის ჩატარება. ასეთ კვლევას განეკუთვნება შერჩეული საკვანძო სახეობების დინამიკისა და ტურისტული აქტივობების კორელაციის დადგენა. ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ არსებულ ტენდენციებს. მაგალითად, „2017 წელს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები 55,519 ვიზიტორმა მოინახულა. 2016 წლის მონაცემებთან შედარებით, ვიზიტორების საერთო რაოდენობა 2017 წელს 12% - ით გაიზარდა ხოლო 2010 წლის მონაცემებთან შედარებით 267%-ით ანუ თითქმის გასამმაგდა“¹².

აღსანიშნავია, რომ ასეთი შინაარსის ეკოტურიზმის ზეგავლენის შესახებ კვლევა საქართველოში პირველად ჩატარდა. მასში გამოყენებული იქნა იმ ფოტო-მახეების მონაცემები, რომლებიც განთავსებული იყო სხვა მიზნებისათვის (პოპულაციის მონიტორინგი, ბრაკონიერობის კონტროლი) და არა ეკოტურიზმის ზეგავლენის შესაფასებლად. მომავალში კვლევა და მონიტორინგი გაცილებით ეფექტური იქნება, თუ მისი მიზნებისათვის ფოტო-მახეები განთავსდება სპეციალურად შერჩეულ ადგილებზე, ტურისტულად აქტიური

¹² დ. კობახიძის სამაგისტრო ნაშრომი „ტურიზმის ზეგავლენა საკვანძო სახეობების პოპულაციებზე ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებში“, 2018 წ.

ადგილების სიახლოვეს და იფუნქციონირებს უწყვეტად, მთელი წლის განმავლობაში. საკვანძო სახეობების გადაადგილებაზე დასაკვირვებლად, ფოტო-მახეების გარდა აუცილებელია უფრო ზუსტი მეთოდის - GPS ყელსაბამების მონაცემების გამოყენებაც და შემდეგ გეოინფორმაციულ სისტემებში მოდელირება. ტელემეტრიის დახმარებით შესაძლებელია მონიტორინგისათვის ძალზე საჭირო მონაცემების მიღება.

სასურველია, რომ ამგვარი კვლევა და მონიტორინგი დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის აუცილებელი ნაწილი გახდეს, ვინაიდან მათი შედეგების გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ ტურისტული აქტივობების რეგულირებისათვის (ტურისტების რაოდენობის და მარშრუტების შეზღუდვა პოპულაციებისთვის სასიცოცხლო ჰაბიტატების, ასევე გამრავლების, წყალთან მისასვლელი, გამოზამთრების და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების გათვალისწინებით, არამედ ტურისტული ინტერესების



გათვალისწინებით მარშრუტების უკეთ დაგეგმვისათვის. ვიზიტორთა ინტერესებიდან გამომდინარე, მოდელირების შედეგად, შესაძლებელია ისეთი ადგილების იდენტიფიცირება, საიდანაც ცხოველებთან ახლოს მისვლისა და შეწუხების გარეშე, ბინოკლებისა და ტელესკოპების შემშვებით, შესაძლებელი იქნება მათზე დაკვირვება. (მაგალითისთვის იხ. შავი კლდეების ტბის ბილიკის მხედველობის არეალების რუკა, სურ. 10)

სურ 10. შავი კლდეების ტბის ბილიკის მხედველობის არეალები¹³


ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის, მათი საფრთხეებისა და ტენდენციების შესაფასებლად მნიშვნელოვანია ისეთი ინფრასტრუქტურის შეფასება, რომელიც არ ეკუთვნის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას (გზები, მილსადენები, გადამცემი ხაზები და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები). არსებობს გარემოებები/შეზღუდვები, რომლებიც მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რაოდენობრივი ინდიკატორის მეშვეობით ამგვარი ზეგავლენის შესაფასებლად (რაოდენობრივი ინდიკატორის ჩამოსაყალიბებლად). დაცული ტერიტორიის პერიმეტრში მდებარე ინფრასტრუქტურის ნაწილი ამორიცხულია მათი ფართობიდან (ამორიცხული შეიძლება იყოს დაცული ტერიტორიის განაპირა მონაკვეთი და ამ შემთხვევაში „ჩამოჭრილი“ ფართობის განსაზღვრა ძნელია; ამორიცხული ასევე შეიძლება იყოს დაცული ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში არსებული მონაკვეთი - ამ დროს მისი ფართობის განსაზღვრა შედარებით ადვილია. ზემოხსენებული გარემოებების გამო, შეუძლებელია ვიანგარიშით დაცული ტერიტორიისა და ინფრასტრუქტურის პროცენტული შეფარდება, ისე, როგორც ეს გაკეთდა დაცული ტერიტორიის კუთვნილი ინფრასტრუქტურის ფართობის ცვლილების დაანგარიშებისას (ინდიკატორი „P8. დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმყოფება ინფრასტრუქტურის განვითარების ზეგავლენის ქვეშ“). ასეთი მარტივი წესით დაანგარიშება არ მოგვცემს სასურველ შედეგს იმ მიზეზითაც, რომ რიგ შემთხვევებში, ზოგიერთი ინფრასტრუქტურა (ძირითადად გზები) არ არის ამორიცხული დაცული ტერიტორიებიდან. აქედან

¹³ დ. კობახიძის სამაგისტრო ნაშრომი „ტურიზმის ზეგავლენა საკვანძო სახეობების პოპულაციებზე ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებში“, 2018 წ.

გამომდინარე, ინფრასტრუქტურის ზეგავლენისა და ტენდენციების შესაფასებლად მნიშვნელოვანია არა რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი მონიტორინგის წარმოება. კერძოდ, შესწავლილი უნდა იქნას, რა ზეგავლენას ახდენს ამ ტიპის ინფრასტრუქტურა სახეობებსა და ჰაბიტატებზე: იწვევს თუ არა ჰაბიტატების დეგრადაციას და/ან ფრაგმენტაციას, ვიზუალურ დაბინძურებას, ქმნის თუ არა ფიზიკურ ბარიერებს ცხოველებისათვის, იცვლება თუ არა მათი ჩვეული ცხოვრების ნირი და პოპულაციის სტრუქტურა, იზრდება თუ არა ბრაკონიერობისა და დაბინძურების საფრთხე? ამისათვის საჭიროა განსაზღვრული იქნას ცხოველთა კონკრეტული საკვანძო/ქვაკუთხედი სახეობები და მათზე წარმოებდეს მიზანმიმართული კვლევა, გროვდებოდეს მონაცემები და ანალიზდებოდეს. ამ ეტაპზე ასეთი შეფასება ჩვენ ვერ მოვახერხეთ საკმარისი ინფორმაციის არარსებობისა (სახეობების გავრცელების რუკები დაცულ ტერიტორიებში, ფოტო-მახეების მონაცემები და სხვ.) და კვლევისთვის გამოყოფილი დროის სიმცირის გამო. მომავალში საჭირო იქნება, რომ ფოტო-მახეებით მონაცემების შეგროვებას უფრო სისტემატიზებული ხასიათი მიეცეს, მიღებული ფოტო და აუდიომასალის დახარხება და ანალიზი ხდებოდეს. მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა შეირჩეს ფოტო-მახეების განთავსების ადგილები. ამ მეთოდთან ერთად, მუდმივი და სისტემატიზებული ხასიათი უნდა მიეცეს ცხოველთა აღრიცხვის სხვა მეთოდებსაც (კვალზე აღრიცხვა, ექსრემენტების შეგროვება, გენეტიკური ანალიზი და ა.შ.) და მათ საფუძველზე შედგეს გავრცელების რუკები. ყოველივე ეს გაწერილი უნდა იქნეს ნორმატიულ აქტში, სადაც მითითებული იქნება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (მაგალითად, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები) უფლებები და ვალდებულებები.

მონიტორინგის მიზნებისათვის მოხერხებული აღმოჩნდა ინფრასტრუქტურის ზეგავლენის შეფასება ბერნის კონვენციის ჰაბიტატებზე (ჰაბიტატები, რომლებიც წარმოადგენენ ბერნის კონვენციის მუდმოვმოქმედი კომიტეტის მე-4 რეზოლუციაში მითითებულ მკაცრად დასაცავ ჰაბიტატებს) და დანართში შეტანილ სახეობებზე.


რაც შეეხება რაოდენობრივ მონაცემებს, არსებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დაცული ტერიტორიებიდან ფართობების ამორიცხვის ტენდენციის შეფასება. თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ხშირ შემთხვევაში დაცული ტერიტორიების ფართობი მცირდება არა ინფრასტრუქტურული/განვითარების პროექტების საჭიროებისათვის ფართობების ამორიცხვის გამო, არამედ დემარკაციის პროცესში დაცული ტერიტორიის საზღვრების დაზუსტებისას სურ. 11)



1999-2018 (23.03 მდგომარეობით) წლებში შეიცვალა 64 დაცული ტერიტორიის ფართობი, საიდანაც გაიზარდა 31, ხოლო შემცირდა 33. შეცვლილ ფართობებში, შემცირებულის წილი მეტია (66%, 25674,3425 ჰა), ვიდრე გაზრდილის (34%, 13184, 738). (სურ. 12).

სურ. 11. დაცული ტერიტორიების ფართობის ცვლილება

ამავე ჰაბიტატების რუკების მეშვეობით შესაძლებელია დაცული ჰაბიტატების წარმომადგენლობითობის შეფასება¹⁴. მსგავსი კვლევების/მონიტორინგის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებლობას იძლევა



შევაფასოთ საკონსერვაციო ღონისძიებების შესაბამისობა და საჭიროების შემთხვევაში, მოვახდინოთ დაცული ტერიტორიების შიდა ზონების საზღვრების ცვლილება, დაცული ტერიტორიის კატეგორიის (მოწყვლადი ჰაბიტატისთვის უფრო მკაცრი დაცვითი რეჟიმის ზონის მინიჭება) ან ფართობის ცვლილება (გაზრდა) და ახალი დაცული ტერიტორიების ინიცირება.

სურ.12. დაცული ტერიტორიების შეცვლილი ფართობის თანაფარდობა

ეკოსისტემებისა და ბიომების არაერთი კლასიფიკაცია არის შემოთავაზებული სხვადასხვა ავტორის მიერ. ხშირ შემთხვევაში, ერთი პუბლიკაცია/მონოგრაფია იმეორებს ადრე გამოცემულებს; ერთსა და იმავე ეკოსისტემას/ჰაბიტატს სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელწოდება აქვს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩია, რომ დაცული წარმომადგენლობითობის შეფასების ინდიკატორისთვის გამოყენებული იქნას ბერნის კონვენციის დანართებით განსაზღვრული ჰაბიტატები.

გამოვლენილი შეუსაბამობებიდან, რომელიც დაცული ტერიტორიების კატეგორიებს, მათი მიზნებს, ეკოლოგიური მდგომარეობას და მენეჯმენტს შეეხებოდა, გამოვყოფთ ზოგიერთი აღკვეთილის საკითხს. მაგალითად ასას აღკვეთილის სტატუსი იქ არსებული ბუნებრივი პირობებისა და ეკოლოგიური მდგომარეობისთვის სრულიად შეუსაბამოა. ასას ხეობა, პირიქითა ხევსურეთის ნაწილი არხოტი მთლიანად ხელუხლებელ, პრაქტიკულად პირველყოფილი სახით არსებულ ეკოსისტემებს წარმოადგენს. კატეგორია აღკვეთილი წესდება იმ შემთხვევაში, როდესაც ეკოსისტემა/სახეობა საფრთხის წინაშეა და აუცილებელია ადამიანის ჩარევა, აქტიური მენეჯმენტი მის გადასარჩენად ან მდგომარეობის გამოსასწორებლად (მაგალითად, ტყის აღდგენა-გამშენების ღონისძიებების განხორციელება, მავნებლებისგან დაავადებული ტყის კორომების მკურნალობა, ეპიზოოტიკებთან, ეპიდემიებთან და /ან ინვაზიურ სახეობებთან აქტიური ბრძოლა და ა.შ.). ასას აღკვეთილში არანაირი მსგავსი საჭიროება არ არსებობს. ერთადერთი მიზანი, თუ რატომ მიეკუთვნა ეს სტატუსი არის ის, რომ მომავალში აქ გახსნილიყო სამონადირეო მეურნეობა. დღეისათვის, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ეწინააღმდეგება გახშირებულ ბრაკონიერობას და ამ მიზეზით ხატზეც კი დაიფიცეს, საჭიროა სახელმწიფომ ადეკვატური შემხვედრი ნაბიჯები გადადგას, გაამკაცროს ბრაკონიერობის კონტროლი ამ ხეობაში (მათ შორის მესაზღვრეთა მხრიდანაც), ხოლო ასას აღკვეთილი შეუერთოს ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკს. ასევე იქ წარმოებულ საქმიანობასთან სრულიად შეუსაბამოა ყორულის, იორისა და გარდაბნის აღკვეთილების სტატუსი. ეს დაცული ტერიტორიები გაცემულია ხანგრძლივადიანი ლიცენზიით სამონადირეო მეურნეობებზე. როგორც ჩანს, იქ მიმდინარე საქმიანობა სანადირო ნადირ-ფრინველთან არის დაკავშირებული, ადგილი აქვს კონსერვაციასთან სრულიად შეუთავსებელ ქმედებებს, როგორცაა მაგალითად, მტაცებლების მასიური განადგურება. დაცული ტერიტორიების სააგენტო არანაირ კონტროლს არ ახორციელებს იურიდიულად მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე. შესაბამისად, უნდა

¹⁴ მარიამ არჩუაძის სამაგისტრო ნაშრომი, „დაცული ტერიტორიების დიზაინის გავლენა საკვანძო სახეობების მდგომარეობაზე“, 2018

შემოწმდეს აღნიშნული სამონადირეო მეურნეობების ლიცენზიების გაცემის კანონიერების და სალიცენზიო პირობების შესრულების საკითხი და დარღვევების შემთხვევაში გაუქმდეს ისინი. ან უნდა გაუქმდეს ფორმალურად არსებული აღკვეთილების სტატუსი და ამოირიცხოს დაცული ტერიტორიების სიიდან.

სერიოზულად არის შესასწავლი ილტოს აღკვეთილის საკითხი, თუ რამდენად არსებობს აქტიური მენეჯმენტის გზით ეკოსისტემებისა და სახეობების აღდგენის საჭიროება. განხილული უნდა იქნეს ერთმანეთის მოსაზღვრედ მყოფი ორი ტერიტორიის - ილტოს აღკვეთილისა და ბაწარას ნაკრძალის გაერთიანების და ეროვნული პარკის ჩამოყალიბების საკითხიც.

რეკომენდაციები და დასკვნა

მიღებული შედეგებისა და მათი განხილვის შედეგად შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. დაცული ტერიტორიების სააგენტოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის ვებ-გვერდებზე, მათი მომხმარებლისათვის ადვილად ხელმისაწვდომ/შესაძენებ ადგილას განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია: „საქართველოში დღეისათვის იურიდიულად არსებობს 88 დაცული ტერიტორია (14 სახელმწიფო ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 40 ბუნების ძეგლი, 2 დაცული ლანდშაფტი და 2 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია), რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 627104.7255 ჰა-ს. აღნიშნულიდან 81 დაცული ტერიტორია იმართება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, 20 ტერიტორიული ადმინისტრაციის მეშვეობით. ერთი დაცული ტერიტორია - თუშეთის დაცული ლანდშაფტი - იმართება ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ; საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე არსებული დაცულ ტერიტორიების სამართავად შექმნილია ფსხუ-გუმისთის, ბიჭვინთა-მიუსერის, რიწის და ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალების ადმინისტრაციები. იხილეთ დანართი 1 “საქართველოს დაცული ტერიტორიები კატეგორიებისა და ადმინისტრაციების მიხედვით“
2. დაზუსტდეს ინფორმაცია აფხაზეთში არსებული დაცული ტერიტორიებისა და მათი ფართობის შესახებ (როგორც რაოდენობის, ისე ფართობის მხრივ) და საჭიროების მიხედვით, შევიდეს ცვლილება შესაბამის ნორმატიულ აქტებში;
3. კანონით განისაზღვროს ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ფართობი;
4. ჩატარდეს ჯავახეთისა და ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების დემარკაცია და მიღებული შედეგები აისახოს შესაბამის ნორმატიულ აქტებში;
5. 2014-2020 საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის¹⁵ შესაბამისად, მოხდეს, IUCN-ის დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და მართვის სახელმძღვანელოების გათვალისწინებით, დაიხვეწოს V და VI კატეგორიის დაცული ტერიტორიების მართვის საკითხები, შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა და განხორციელდეს საპილოტე პროექტები, მართვის საკითხებში დაინტერესებული ჯგუფების, პირველ რიგში, კი - ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფის გზით.
6. დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებს (დაცული ტერიტორიების დაარსებასთან დაკავშირებული კანონები და ამავე დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები) ჩაუტარდეს რევიზია და გასწორდეს არსებული შეუსაბამობები (დანართი 2)
7. ნორმატიულ აქტში შევიდეს ცვლილება და R3 ინდიკატორისთვის „ბუნების დაცვის ზონებად“ უნდა ჩაითვალოს ნაკრძალი, ეროვნული პარკი (ადმინისტრაციული და ტრადიციული გამოყენების ზონების გამოკლებით), ბუნების ძეგლი და აღკვეთილი (ადმინისტრაციული და ტრადიციული გამოყენების ზონების გამოკლებით).

¹⁵ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2914 წლის 13 მაისი, N 343 დადგენილებით „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“

8. R3 ინდიკატორის უნდა ჩამოშორდეს დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა კვალიფიკაციის განსაზღვრის საკითხი, ვინაიდან ეს საკითხი თვისობრივად განსხვავებულ კვლევას მოითხოვს და უნდა ჩამოყალიბდეს ცალკე ინდიკატორად. დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის ტენდენციის შესაფასებლად უნდა გამოიყოს ცალკე ინდიკატორი, რომელიც დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციას შეამოწმებს.
9. ინდიკატორი R3. „ბუნების დაცვის ზონები (დაცული ტერიტორიების ქსელის საერთო ფართობში უპირატესად ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის გამოყოფილი ადგილების ფართობის ცვლილება)“ აუცილებლად ყოველთვის უნდა გაანალიზდეს ინდიკატორ „R1. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობის ცვლილება“ - თან ერთად.
10. ინდიკატორის - „P8. დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმყოფება ინფრასტრუქტურის განვითარების ზეგავლენის ქვეშ“ - დასახელება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დაცული ტერიტორიის კუთვნილი ინფრასტრუქტურის ფართობის ცვლილება“, რაც უფრო ზუსტად გამოხატავს ამ რაოდენობრივი ინდიკატორის არსს. მისი გამოყენება მომავალშიც შესაძლებელია, ვინაიდან საჭირო მონაცემების მიღება არ მოითხოვს დიდ დროსა და თანხებს.
11. ბიომრავალფეროვნებაზე ტურიზმის ზეგავლენის მონიტორინგისა და საპასუხო ქმედებების განხორციელებისათვის საჭიროა თვისობრივი ინდიკატორების შემოღება და დანერგვა. ამ ინდიკატორის ინტენსიურად გამოყენების საკითხი განსაზღვრული უნდა იქნას დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის საშუალებით.
12. ცალკე ინდიკატორის სახით უნდა ჩამოყალიბდეს ინდიკატორი „ინფრასტრუქტურული პროექტების ზეგავლენა დაცულ ტერიტორიებზე“, რომლითაც შეფასებული იქნება ის ინფრასტრუქტურა, რომელიც არ ეკუთვნის დაცულ ტერიტორიებს.
13. ბიომრავალფეროვნებაზე ტურიზმის, ასევე განვითარების ინფრასტრუქტურული პროექტების ზეგავლენის და მასთან დაკავშირებული საფრთხეების (ჰაბიტატის ფრაგმენტაცია) მონიტორინგისათვის საჭიროა გამოყენებული იქნას ისეთი მეთოდები, როგორცაა: ტელემეტრია, ფოტო-მახეები (რომლებიც თემატურად, სწორედ ტიპის მონიტორინგის მიზნებით განთავსდება შერჩეულ ადგილებზე), GIS ანალიზი/მოდელირება.
14. უნდა გადაიხედოს ასას, ილტოს, გარდაბნის, იორისა და ყორულის აღკვეთილების სტატუსი.
15. გადაუდებლად შესწავლილი იქნას ის აღკვეთილები, სადაც სამონადირეო მეურნეობებია გახსნილი. საბოლოო ჯამში საჭიროა ან გაუუქმდეს ამ ტერიტორიებს დაცული ტერიტორიის სტატუსი, ან გაუქმდეს იქ არსებული მეურნეობები, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნას სამართლებრივი გზები (სალიცენზიო პირობების შემოწმება, შესაბამისობა აღკვეთილის სტატუსთან, შესაძლო დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება ლიცენზიების გაუქმების ჩათვლით).
16. დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური წარმომადგენლობითების ტენდენციის შეფასებისათვის გამოყენებული იქნას ბერნის კონვენციის დანართებით განსაზღვრული ჰაბიტატები (ბერნის კონვენციის მუდმომოქმედი კომიტეტის მე-4 რეზოლუციაში მითითებულ მკაცრად დასაცავ ჰაბიტატებს). ასეთი ჰაბიტატების დაცვის ადეკვატური რეჟიმის უზრუნველყოფისათვის, უნდა მოხდეს არსებული დაცული ტერიტორიების შიდა ზონირების რევიზია და ახალი დაცული ტერიტორიების დაგეგმვა.

ამრიგად, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წარმოებას ხელ უშლის მონაცემების ნაკლებობა და არსებული მონაცემების არასისტემატიზებულობა. მონაცემების ნაკლებობა მნიშვნელოვანი ბარიერია, თუმცა არსებული მონაცემების პირობებშიც კი, მათი სისტემატიზაციისა და ინტერპრეტაციის შედეგად, შესაძლებელია დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის, მასთან დაკავშირებული ტენდენციებისა და საკონსერვაციო ღონისძიებების ეფექტურობაზე მსჯელობა. მონიტორინგის შედეგად დგინდება ბიომრავალფეროვნების სტატუსი და ხდება ცვლილებების შეფასება დროსა და სივრცეში. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არ წარმოებდეს მხოლოდ „მონიტორინგი მონიტორინგისათვის“, კანონით თუ საერთაშორისო ვალდებულებებით დადგენილი ვალდებულებების ფორმალურად შესასრულებლად. მონიტორინგი უნდა წარმოადგენდეს სახელმძღვანელოს გადაწყვეტილების მიმღებთათვის, რათა მათ უკეთ მართონ ბიომრავალფეროვნება როგორც დაცვის, ისე რესურსების გამოყენების თვალსაზრისით.

დანართი 1.

საქართველოს დაცული ტერიტორიები კატეგორიებისა და ადმინისტრაციების მიხედვით

დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია	დაცული ტერიტორია	ფართობი (ჰა)
ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	1. ალგეთის ეროვნული პარკი	6822
	2. ბირთვისის ბუნების ძეგლი	514.8
	3. დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი	538
	4. სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი	405
აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაცია	5. აჯამეთის აღკვეთილი	4990.57
ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	6. ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი	862.1
	7. ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალი	2985.96
	8. ილტოს აღკვეთილი	6 971
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	9. ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი	13168.6
	10. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი	60576.4
	11. გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი	36
	12. ნეძვის აღკვეთილი	9212.5
	13. ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი	22000
ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	14. ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი	10143
	15. ვაშლოვანის ეროვნული პარკი	24610.06
	16. ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი	204.4
	17. არწივის ხეობის ბუნების ძეგლი	100.4
	18. ტახტი-ტეფას ბუნების ძეგლი	9.7
თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	19. თბილისის ეროვნული პარკი	21030.81
	20. ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლი	19.6
	21. გარდაბნის აღკვეთილი	3733.7
თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	22. თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი	12 627.2
	23. თუშეთის ეროვნული პარკი	69515

თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია 1	24. თუშეთის დაცული ლანდშაფტი	31518
იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია სულ 438,788	25. სათაფლიის ნაკრძალი	330
	26. ბღერის მღვიმის ბუნების ძეგლი	0.04
	27. გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი	0.2
	28. დიდელის მღვიმის ბუნების ძეგლი	0.2
	29. თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი	0.478
	30. იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი	0.2
	31. მელიურის მღვიმის ბუნების ძეგლი	0.07
	32. მუხურას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი ²	4.3
	33. წავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი	1
	34. პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი	46.6
	35. საკაჟიის მღვიმის ბუნების ძეგლი	0.03
	36. სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი	0.03
	37. საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი	0.4
	38. ღლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი	0.01
	39. ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი	8.53
	40. წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი	12
	41. ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი	0.3
	42. სათაფლიის ალკვეთილი	34.4
კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	43. კონტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი	10703
	44. კონტრიშის დაცული ლანდშაფტი	3190
კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	45. კოლხეთის ეროვნული პარკი	44308.5 მათ შორის, ხმელეთი – 29032.5; ზღვის

¹ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა

² მუხურას ჩანჩქერს მართავს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, თუმცა საქართველოს კანონის „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ თანახმად ის არ შედის იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების კატეგორიებში (მუხლი 3). საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის №306 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის - იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“, მუხურას ჩანჩქერი ეკუთვნის იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებს (მუხლი 28).

		აკვატორია – 15276
	46. კაცობურის აღკვეთილი	270.8
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	47. ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი	19749
	48. ლაგოდეხის აღკვეთილი	4702
მარიაშვილის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია	49. მარიაშვილის სახელმწიფო ნაკრძალი	1022.5
	50. იორის აღკვეთილი	2126.8
	51. ყორულის აღკვეთილი	2068
მაჭახელას ეროვნული პარკი	52. მაჭახელას ეროვნული პარკი	7333.18
მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	53. მტირალას ეროვნული პარკი	15698.8
ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	54. ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი	75843
	55. როშკის ბუნების ძეგლი	122.4
	56. ასის აღკვეთილი	3943
ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	57. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი	316.4
	58. ქობულეთის აღკვეთილი	466.3
ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	59. ყაზბეგის ეროვნული პარკი	8685.3375
	60. აბანოს მინერალური ტბის ბუნების ძეგლი	0.04
	61. თრუსოს ტრავერტინების ბუნების ძეგლი	4.2
	62. სახიზნარის კლდის ბუნების ძეგლი	335.7
	63. ქეთერისის მინერალური ვოკლუზის ბუნების ძეგლი	1
	64. ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინის ბუნების ძეგლი	2.7
ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	65. ჯავახეთის ეროვნული პარკი	13498.02
	66. ბუღდაშენის ტბის აღკვეთილი	119.3
	67. კარწახის ჭაობის აღკვეთილი	157.5
	68. მადათაფის ტბის აღკვეთილი	1 398
	69. სულდის ჭაობის აღკვეთილი	309.3

	70. ხანჩალის ტბის აღკვეთილი	727.3
	71. თეთრობის აღკვეთილი	3100
ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია	72. ჭაჭუნის აღკვეთილი	5200
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია	73. ბაღდის კანიონის ბუნების ძეგლი	8.4
	74. მარტვილის კანიონის (გოჭკადილის) ბუნების ძეგლი	13.49
	75. მდ. აბაშის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი	91
	76. ნაზოდელავოს მღვიმის ბუნების ძეგლი	7.4
	77. ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი ³	73
	78. ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი	28.7
	79. ონიორის ჩანჩქერისა და ტობის პირველი მღვიმის ბუნების ძეგლები	96.8
	80. ოჩხომურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი	0.5
	81. ტობის ჩანჩქერისა და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლები	67.6
	82. ჯორწყუს მღვიმის ბუნების ძეგლი	0.08
არ არის	83. ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	
არ არის	84. ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	
85. ბიჭვინთა-მიუსერას ნაკრძალი 3 645 ჰა	ბიჭვინთის მონაკვეთი	165
	ლიძავას მონაკვეთი	1296
	მიუსერის მონაკვეთი	218
86. რიჩის ნაკრძალი	რიჩის სახელმწიფო ნაკრძალი	13893
87. ფსხუ-გუმისთას ნაკრძალი 40 819 ჰა	ფსხუს სახელმწიფო ნაკრძალი	27 334
	გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი	13 400
	სკურჩას სახელმწიფო ნაკრძალი	85
88. ლიახვის ნაკრძალი	ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი	6388

³ ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი და ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი საქართველოს კანონი „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, შედის იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიის ფარგლებში, თუმცა მას მართავს მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია.

**დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებში არსებული შეუსაბამობები
(მოცემულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მიხედვით, <https://matsne.gov.ge/> 2018 წლის 23
მარტის მდგომარეობით)**

„დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 10.05.2013 №12 ბრძანება განსაზღვრავს, თუ რომელი ადმინისტრაციის მიერ იმართება ესა თუ ის დაცული ტერიტორია. რამდენიმე შემთხვევაში, ერთი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია მართავს სხვადასხვა კანონის თანახმად შექმნილ დაცულ ტერიტორიას. სამწუხაროდ, ცალკეულ შემთხვევებში, ადმინისტრაციის მიერ მართულ ყველა დაცულ ტერიტორიას არ ფარავს შესაბამისი მენეჯმენტის გეგმა. მაგალითად ასეთებია გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი, თეთრობის აღკვეთილი და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 10.05.2013 №12 ბრძანების „დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით, გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლსა და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილს მართავს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, მაგრამ შესაბამისი მენეჯმენტის გეგმა (დამტკიცებულია მთავრობის 03.01.2014 №13 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის - ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“) მოიცავს მხოლოდ ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალს, ბორჯომის ეროვნულ პარკს და ნემვის აღკვეთილს. მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის დადგენილებაში „ტექნიკური რეგლამენტის - ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ მოხსენიებული არ არის თეთრობის აღკვეთილი, რომელსაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 10.05.2013 №12 ბრძანების „დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ თანახმად, მართავს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია.

საჭიროა ზემოხსენებულ ნორმატიულ აქტებში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები: მენეჯმენტის გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა იმ დაცულ ტერიტორიას, რომელსაც მართავს კონკრეტული ადმინისტრაცია.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები

მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №18 დადგენილებაში „ტექნიკური რეგლამენტის-ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ მოცემულია განსხვავებული მონაცემები ნაკრძალის, ეროვნული პარკისა და ბუნების ძეგლების ფართობების შესახებ:

მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის ტერიტორიული სფერო	მუხლი 34. დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და ზონების ფართობი და საზღვრები
ვაშლოვანის ნაკრძალი - 10143 ჰა	ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი - 10142 ჰა
ეროვნული პარკი - 24610.06 ჰა	ვაშლოვანის ეროვნული პარკი - 24598 ჰა
არწივის ხეობა - 100.4 ჰა	არწივის ხეობის ბუნების ძეგლი - 100 ჰა
ტახტი ტეფა - 9.7 ჰა	ტახტი ტეფას ბუნების ძეგლი - 9.7 ჰა
ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი - 204.4 ჰა	ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი - 204 ჰა

გარდაბნის აღკვეთილი

კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“	მთავრობის 16.01.2014 №84 დადგენილება
გარდაბნის აღკვეთილი - 3733.7 ჰა	გარდაბნის აღკვეთილი - 3484 ჰა

მთავრობის 16.01.2014 №84 დადგენილებაში¹ აღნიშნულია, რომ გარდაბნის აღკვეთილის საერთო ფართობია 3484 ჰა, რომელიც იყოფა მართვადი დაცვის ზონად - 460.5 ჰა და ტრადიციული გამოყენების ზონად - 3103.4 ჰა. ამ ორი ზონის ფართობების ჯამი არის 3563.9 ჰა და არა 3484 ჰა.

თბილისის ეროვნული პარკი

2018 წლის 23 მარტს ცვლილება შევიდა საქართველოს კანონში „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ“. თბილისის ეროვნული პარკის ფართობად განისაზღვრა 21030,81 ჰექტარი. „ტექნიკური რეგლამენტი-თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, თბილისის ეროვნული პარკის ფართობი 21036,14 ჰექტარია.

ივრის აღკვეთილი

კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“	მთავრობის 16.01.2014 №84 დადგენილება
ივრის აღკვეთილი - 2126,8 ჰა	ივრის აღკვეთილი - 1336 ჰა

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები

დაცული ტერიტორიის დასახელება	ნორმატიული აქტის დასახელება	
	კანონი „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“	მთავრობის 25.06.2015 №306 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“
სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი	330 ჰა	330 ჰა
სათაფლიის აღკვეთილი	34,4 ჰა	34 ჰა
პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი	46,6 ჰა	46,6 ჰა

¹ მთავრობის 16.01.2014 №84 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტების: „ალგეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „გარდაბნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „კოლხეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ჭაჭუნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყორღის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ივრის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ და „თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე

თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი	0,478 ჰა	
ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი	0,3 ჰა	
ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი	8,53 ჰა	
ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი	1 ჰა	
იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი	0,2 ჰა	
საკაჟის მღვიმის ბუნების ძეგლი	0,03 ჰა	
წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი	12 ჰა	21,7 ჰა
ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი	73 ჰა	70,5 ჰა
ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი	28,7 ჰა	
გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი	0,2 ჰა	
საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი	0,4 ჰა	
სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი	0,03 ჰა	
დიდელის მღვიმის ბუნების ძეგლი	0,2 ჰა	
მელოურის მღვიმის ბუნების ძეგლი	0,07 ჰა	
ზღერის მღვიმის ბუნების ძეგლი	0,04 ჰა	
დლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი	0,01 ჰა	

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 10.05.2013 №12 ბრძანებაში „დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ მოხსენიებულია ერთ-ერთი ბუნების ძეგლის ძველი სახელწოდება - „ყუმისთავის მღვიმის ბუნების ძეგლი“, რომელიც საქართველოს კანონში „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ კონსოლიდირებული) მოიხსენიება, როგორც „პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი“.

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი

კანონი “დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“	მთავრობის 16.01.2014 №84 დადგენილება
-----------------------------------------------	--------------------------------------

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი - 1022,5 ჰა	მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი - 1040 ჰა
---------------------------------------------	-------------------------------------------

ყაზბეგის ეროვნული პარკი

კანონი “დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“	მთავრობის 16.01.2014 №84 დადგენილება
ყაზბეგის ეროვნული პარკი - 8685,3375 ჰა	ყაზბეგის ეროვნული პარკი - 8707 ჰა

კოლხეთის და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები

საქართველოს კანონის „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ (კონსოლიდირებული) თანახმად, კოლხეთის დაცული ტერიტორიების კატეგორიები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს (მუხლი 7):

- კოლხეთის ეროვნული პარკი;
- ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი;
- ქობულეთის აღკვეთილი;
- კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია;
- ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

რეალურად, კოლხეთისა და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები აღარ არსებობენ, გაუქმებული არიან.

სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსი

დაცული ტერიტორიის დასახელება	ნორმატიული აქტის დასახელება	
	საქართველოს კანონი „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“	მთავრობის 16.01.2014 №84 დადგენილება
ბაღდის კანონის ბუნების ძეგლი	8,4 ჰა	5,7 ჰა
ონიორის ჩანჩქერისა და ტობის პირველი მღვიმის ბუნების ძეგლები	96,8 ჰა	33 ჰა
ტობის ჩანჩქერისა და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმეების ბუნების ძეგლები	67,6 ჰა	73 ჰა
ჯორწყუს მღვიმის ბუნების ძეგლი	0,08 ჰა	1,5 ჰა
ოჩხომურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი	0,5 ჰა	9 ჰა
ნაზოდელავოს მღვიმის ბუნების ძეგლი	7,4 ჰა	12 ჰა

მდინარე აბაშის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი	91 ჰა	99 ჰა
მარტვილის კანოონის ბუნების ძეგლი	13,49 ჰა	13,49 ჰა